# გერმანელი იმპერიალისტების განადგურების დიადი პროგრამა

ერთი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც 1941 წლის 6 და 7 ნოემბერს ჩვენ მოვისმინეთ ამხანაგ სტალინის ღრმაშინაარსიანი მოხსენება და სიტყვა, რომელიც სამამულო ომის ისტორიაში დიდ და ძლიერ დოკუმენტებად დარჩებიან. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ ამ ომში ჩვენი გამარჯვებისა და გერმანელი ფაშისტების განადგურების დიად პროგრამას. ამ პროგრამაში მოცემულია ბრძნული ანალიზი შექმნილი მდგომარეობისა და დასახულია იმედიანი პერსპექტივები მომავლისა. განვლილმა წელმა ნათელყო სრული სისწორე ამ პროგრამისა. ჩაიფუშა ფაშისტი იმპერიალისტების გეგმები ერთი დარტყმით ჩვენი განადგურებისა, საბჭოთა კავშირის იზოლირებისა და მის წინააღმდეგ სხვა ქვეყნების ამხედრებისა. დაიმსხვრა ფაშისტების ოცნება დაეშალათ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების, მუშებისა და გლეხების სოლიდარობა. პირიქით, ამ ერთი წლის განმავლობაში დიდად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ხვედრითი წონა და ჩვენდამი სიმპატიები, ჩვენი თავდაცვითი უნარიანობა, საომარი ოსტატობის წარმატება, განმტკიცდა ჩვენი მეომრების საბრძოლო სულისკვეთება და მომზადება, ფრონტისა და ზურგის კავშირი, ვერაგი მტერი კატასტროფის წინაშე დგას.



ის არ მოელოდა, რომ საბჭოთა კავშირის სახით მას ასეთი გიგანტური ძალა დახვდებოდა. არ მოელოდა, რომ ასე გმირულად მოაწყობდნენ თავდაცვას მოსკოვი, ლენინგრადი და სტალინგრადი. ის არ მოელოდა, რომ ეს ქვეყანა ნამდვილ გმირთა მთლიან ბანაკად გადაიქცეოდა. ამხანაგმა სტალინმა დღევანდელი მდგომარეობა ერთი წლის წინათ ზუსტად განჭვრიტა და დაგვიხატა. ეს კი გვანიჭებს სრულ იმედს და ურყევ რწმენას, რომ მისი ბრძნული პროგრამა, მისი შეურყეველი ნებისყოფა და მტკიცე ხელმძღვანელობა ჩვენი ქვეყნისა, და არა მარტო ჩვენი ქვეყნისა, მიგვიყვანს სრულ გამარჯვებამდე და ოკუპანტების საბოლოო დამარცხებამდე. დარწმუნებული ვართ, რომ გერმანელი იმპერიალისტების განადგურება გარდაუვალია.

დოც. ქ. ქაქილიძე